

შპს „კაპიტალ ჰოლ“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თბილისი, 2025

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება..... 3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული სრულიშემოსავლის ანგარიშგება 7

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 8

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება..... 9

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება..... 10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 11
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები..... 19
4. შემოსავალი 20
5. სხვა შემოსავალი..... 20
6. სხვა ხარჯები 20
7. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო 21
8. მოგების გადასახადი..... 21
9. ძირითადი საშუალებები..... 22
10. გუდვილი..... 23
11. საინვესტიციო ქონება 24
12. მარაგები 25
13. საგადასახადო აქტივი..... 25
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 25
15. ფული და ფულის ეკვივალენტები 26
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები..... 26
17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 27
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 33
19. პირობითი ვალდებულებები 33
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 35
21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 35

მმართველობის ანგარიშგება..... 36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კაპიტალ ჰოლის“ ხელმძღვანელებს და მეწილეებს,

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კაპიტალ ჰოლის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად და სრულად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. აგრეთვე, ვასრულებთ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს, რომლებიც აღნიშნული კოდექსით არის განსაზღვრული. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენს პასუხისმგებლობას წარმოადგენს, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების

მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სფეროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წარმოადგენს, შეაფასოს აქვს თუ არა ჯგუფს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მივმართავთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ◆ ვახორციელებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებას. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ

მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- ◆ შევისწავლით აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლის სისტემას რათა დავგეგმოთ აუდიტორული პროცედურები რომლებიც არის შესაფერისი კონკრეტულ გარემოებებთან, მაგრამ არა იმ მიზნით რომ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე გამოვთქვათ მოსაზრება;
- ◆ ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას. ასევე, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- ◆ დასკვნა გამოგვაქვს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. აუდიტორის დასკვნაში ვალდებულები ვართ, რომ ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე იმ შემთხვევაში თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ◆ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად. ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბებისა და ვადების, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგების, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც გამოვლენილ იქნა აუდიტის პროცესში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის

მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ეკატერინე ბატიაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A- 491088)

შპს „ჯიემ აუდიტის“ სახელით თბილისი, საქართველო

1 ოქტომბერი 2025 წელი

მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ეკატერინე ბატიაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A- 491088)
შპს „ჯიემ აუდიტის“ სახელით თბილისი, საქართველო
1 ოქტომბერი 2025 წელი



შპს „კაპიტალ ჰოლ“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	4	65,102,259	42,243,220
სხვა შემოსავალი	5	2,030,949	1,842,744
სულ საოპერაციო შემოსავალი		67,133,208	44,085,964
შესყიდული მასალების დანახარჯი		(14,140,796)	(9,826,208)
შეძენილი სამედიცინო მომსახურების ხარჯი		(2,867,430)	(1,797,588)
შრომის ანაზღაურება		(19,926,299)	(18,254,541)
ძირითადი საშუალების ცვეთა	9	(3,763,340)	(3,256,140)
სხვა ხარჯები	6	(3,606,300)	(3,671,849)
სულ საოპერაციო ხარჯები		(44,304,165)	(36,806,326)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		22,829,043	7,279,638
ფინანსური შემოსავალი	7	1,636,861	942,513
ფინანსური ხარჯი	7	(278,994)	(1,024,906)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი		(363,281)	(49,944)
მოგება გადასახადებამდე		23,823,629	7,147,301
მოგების გადასახადი	8	(111,105)	(102,481)
წმინდა მოგება		23,712,524	7,044,820

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:



დირექტორი

გ. ამისულაშვილი

შპს „კაპიტალ ჰოლ“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	4	65,102,259	42,243,220
სხვა შემოსავალი	5	2,030,949	1,842,744
სულ საოპერაციო შემოსავალი		67,133,208	44,085,964
შესყიდული მასალების დანახარჯი		(14,140,796)	(9,826,208)
შეძენილი სამედიცინო მომსახურების ხარჯი		(2,867,430)	(1,797,588)
შრომის ანაზღაურება		(19,926,299)	(18,254,541)
ძირითადი საშუალების ცვეთა	9	(3,763,340)	(3,256,140)
სხვა ხარჯები	6	(3,606,300)	(3,671,849)
სულ საოპერაციო ხარჯები		(44,304,165)	(36,806,326)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		22,829,043	7,279,638
ფინანსური შემოსავალი	7	1,636,861	942,513
ფინანსური ხარჯი	7	(278,994)	(1,024,906)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი		(363,281)	(49,944)
მოგება გადასახადებამდე		23,823,629	7,147,301
მოგების გადასახადი	8	(111,105)	(102,481)
წმინდა მოგება		23,712,524	7,044,820

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გ. ამისულაშვილი

11 - 35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კაპიტალ ჰოლ“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	84,315,537	86,324,544
საინვესტიციო ქონება	11	47,823,881	11,704,706
გუდვილი	10	2,108,806	-
არამატერიალური აქტივები		5,479	7,359
სულ გრძელვადიანი აქტივები		134,253,703	98,036,609
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	3,157,967	2,895,975
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	6,830,148	10,019,501
საგადასახადო აქტივი	13	-	148,672
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	15	10,427,446	19,067,149
სულ მიმდინარე აქტივები		20,415,561	32,131,297
სულ აქტივები		154,669,264	130,167,906
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		149,813,356	126,669,797
სულ კაპიტალი		149,813,356	126,669,797
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	4,677,054	3,498,109
საგადასახადო ვალდებულებები	13	178,854	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,855,908	3,498,109
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		154,669,264	130,167,906

11 - 35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კაპიტალ ჰოლ“

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

2023 წლის 1 იანვარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
შვილობილი კომპანიის შეძენის შედეგი	-	120,322,546	120,322,546
სრული შემოსავალი	-	7,044,820	7,044,820
გამოცხადებული დივიდენდი	-	(697,569)	(697,569)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	126,669,797	126,669,797
სრული შემოსავალი	-	23,712,524	23,712,524
გამოცხადებული დივიდენდი	-	(568,965)	(568,965)
2024 წლის 31 დეკემბერი	-	149,813,357	149,813,357

11 - 35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		23,823,629	7,147,301
კორექტირებები:			
ცვეთა	9	3,763,340	3,256,140
საპროცენტო შემოსავალი	7	(1,442,767)	(685,502)
საპროცენტო ხარჯი	7	103,217	-
სხვა ფინანსური შემოსავალი		(194,095)	(14,078)
სხვა ფინანსური ხარჯი		175,776	-
კურსთაშორის სხვაობისგან მიღებული მოგება/ზარალი		363,281	49,944
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		26,592,382	9,753,806
მარაგების ზრდა/შემცირება		(261,992)	(135,350)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება		3,189,353	(3,061,727)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/შემცირება		1,178,945	120,973
საგადასახადო აქტივების შემცირება		327,526	(247,709)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		31,026,214	6,429,993
გადახდილი მოგების გადასახადი		(111,105)	(102,481)
გადახდილი პროცენტი		(1,262,581)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		29,652,528	6,327,512
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,176,406)	(5,084,112)
საინვესტიციო ქონების შეძენა		(36,119,175)	-
მიღებული პროცენტები		1,442,767	685,502
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად		77,234	-
ფულადი სახსრები განხორციელებული ინვესტიციებიდან		-	17,885,761
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(35,775,580)	13,487,151
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის დაფარვა		(2,396,113)	-
გადახდილი დივიდენდი		(568,965)	(697,569)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(2,965,077)	(697,569)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		(9,088,129)	19,117,094
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	19,067,149	-
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		448,427	(49,944)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	10,427,446	19,067,149

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კაპიტალ ჰოლ“ (შემდგომში „ჯგუფი“) დაფუძნდა 2023 წლის 21 თებერვალს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელსაც ხელმძღვანელობს და უშუალოდ მართავს დირექტორი. კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად. კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, მისამართზე: დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქუჩა N12 / ლუბლიანას ქ. N66.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სახეა საინვესტიციო საქმიანობა, აქტივების მართვა, უძრავი ქონების სექტორი. საქმიანობა ხორციელდება შვილობილი კომპანიების მეშვეობით.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის დედა კომპანიას და ფინანსურ ინფორმაციაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ საწარმოებს:

ინვესტირებული საწარმოს დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	წილობრივი მონაწილეობა		საოპერაციო საქმიანობა
		31.12.2024	31.12.2023	
შპს „ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“	საქართველო	100%	100%	სამედიცინო მომსახურება
შპს "თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა"	საქართველო	100%	100%	სამედიცინო მომსახურება
შპს "დელექს ფროფერტი"	საქართველო	100%	100%	უძრავი ქონება
შპს "დიფ ფორესტ"	საქართველო	100%	100%	უძრავი ქონება
შპს „პალეო საიდ“	საქართველო	100%	100%	უძრავი ქონება
შპს „ნიუ ჰისტორი“	საქართველო	100%	90%	უძრავი ქონება
შპს „ვივა თაუერი“	საქართველო	100%	0%	უძრავი ქონება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 30%-იანი წილის მფლობელი პირია ელგუჯა ქებურია, ხოლო მისი წილის მმართველი გიგი გოცირიძე. 70%-იანი წილის მფლობელია გიგი გოცირიძე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 მომზადების და შეფასების საფუძვლები

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია ჯგუფისთვის.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2024 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

2024 წლის 1 იანვრიდან, ძალაში შევიდა შემდგომი შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან:

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

არც ერთი ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელთა მიღება სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდეგ პერიოდებში ჯგუფს ნაადრევად არ გამოუყენებია.

2.3 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებასთან შედარებით; კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები; სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიაჩნია იმაზე, რომ კომპანიის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

გუდვილის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს თანხას, რომლითაც არამაკონტროლებელი წილისთვის გადაცემული საზღაურისა და მისი აღიარებული ოდენობის, ასევე მანამდე ფლობილი წილის ჯამი მეტია წმინდა შეძენილ იდენტიფიცირებად აქტივებსა და ნაკისრ ვალდებულებებზე. თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მეტია მთლიანად გადახდილ ანაზღაურებაზე, ჯგუფი ხელახლა აფასებს, სწორად ამოიცნო თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ნაკისრი ვალდებულება და გადასინჯავს შეძენის თარიღისთვის ასაღიარებელი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პროცედურას. თუ ხელახალი შეფასების შედეგად წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მაინც გადააჭარბებს მთლიანად გადახდილ საზღაურს, მაშინ ხდება შემოსულობის აღიარება მოგებაში ან ზარალში. როდესაც ხდება მხოლოდ წილის გაცვლა შეძენილი საწარმოს სააქციო წილის სამართლიანი ღირებულება შეძენის თარიღისათვის შეიძლება უფრო საიმედოდ შეფასებადი იყოს, ვიდრე მყიდველი საწარმოს სააქციო წილის სამართლიანი ღირებულება შეძენის თარიღისათვის. თუ ასეა, ჯგუფი გუდვილის თანხა უნდა განსაზღვრავს შეძენის თარიღისათვის შეფასებული შეძენილი საწარმოს სააქციო წილის სამართლიანი ღირებულებით და არა შეძენის თარიღისათვის შეფასებული გადაცემული სააქციო წილის სამართლიანი ღირებულებით.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური აქტივი, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასების და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2024	31.12.2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.689
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას.

გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად შემენილი აქტივის ხასიათისა და მიზნობრიობიდან გამომდინარე:

- სესხები და მოთხოვნები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;
- რეალური ღირებულებით აღრიცხული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც.

სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის.

მოთხოვნებისა და გაცემული სესხების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (იი) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან:

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სხვა ფინანსური ვალდებულებები.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ინფორმაციაში ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებით. ამგვარი ტიპის ვალდებულებების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გათვალისწინებით.

საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

2.6 სამედიცინო შემოსავლები

სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით. ჯგუფს სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სადაზღვევო კომპანიებიდან, სახელმწიფოდან და ფიზიკური პირებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სადაზღვევო კომპანიები - ჯგუფი აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე.

სახელმწიფო - ჯგუფი აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სახელმწიფო პროგრამით. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სახელმწიფოსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

ფიზიკური პირები - ჯგუფი აღიარებს შემოსავლებს დაუზღვეველი ფიზიკური პირებიდან, სამედიცინო მომსახურების დასრულების და ჯგუფის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათებით.

2.7 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასანამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.8 სხვა შემოსავალი

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.9 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.10 საოპერაციო იჯარა

ჯგუფი როგორც მეიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ჯგუფი როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.11 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება.

ჯგუფის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა;
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.12 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

2. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	50
სამედიცინო დანადგარები და მოწყობილობები	7-20
აღჭურვილობა და ინვენტარი	3-20
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
სხვა	12-28
მიწა	არ ერიცხება ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.13 საინვესტიციო ქონება

ჯგუფი საინვესტიციო ქონებას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ყველა უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს.

საინვესტიციო ქონებას ჯგუფი აქტივად აღიარებს როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 50 წლით. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.14 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო მიმოხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგარამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

2.15 მარაგები

ჯგუფის მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამედიცინო მედიკამენტებს და სახარჯ მასალებს. ჯგუფის ბალანსზე არსებული ყველა სახის მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ჩამოწერის მეთოდით.

2.16 საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.17 ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.18 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება,

რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა, რომლის თანხის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

4. შემოსავალი

შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი საყოველთაო დაზღვევიდან	19,733,277	19,976,079
შემოსავლები პაციენტებისგან	30,633,886	20,504,329
შემოსავლები სადაზღვეო კომპანიებისგან	805,336	1,762,813
შემოსავალი საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან	13,929,760	-
სულ:	65,102,259	42,243,220

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
სამრეცხაოს შემოსავალი	297,802	411,353
იჯარა	375,455	303,727
სტაჟირება	312,385	389,596
პირგასამტეხლო	38,207	-
პარკირება	173,667	125,437
უსასყიდლოდ მიღებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება	206,214	78,425
კვების ობიექტიდან მიღებული შემოსავალი	167,237	163,681
სატრანსპორტო მომსახურება	7,644	-
ტრენინგებიდან მიღებული შემოსავალი	76,097	-
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	42,214	-
სხვა შემოსავალი	334,027	370,526
სულ:	2,030,949	1,842,744

6. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
კომუნალური გადასახადები	(1,721,500)	(1,809,243)
დაცვა	(2,260)	(2,010)
მიმდინარე რემონტი	(272,225)	(319,332)
კომუნიკაციის ხარჯები	(70,221)	(50,650)
ბანკის საკომისიო	(22,864)	(60,789)
საკანცელარიო ხარჯი	(248,593)	(308,157)
საპენსიო შენატანის ხარჯი	(234,174)	(213,066)
აუდიტორული და სხვა საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(47,269)	(50,000)
ავტოსატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	(135,039)	(67,863)
ქონების გადასახადის ხარჯი	(331,574)	(159,547)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(18,057)	-
მივლინების ხარჯი	(17,767)	-
სხვა საერთო ხარჯი	(484,757)	(631,192)
სხვა საერთო ხარჯი	(3,606,300)	(3,671,849)

7. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

ფინანსური შემოსავალი/ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ხარჯი	31.12.2024	31.12.2023
შემცირება/კორექტირება (ჯარიმები)	(66,367)	(501,875)
უიმედო დებიტორული მოთხოვნების ჩამოწერა	(25,711)	(430,721)
საპროცენტო ხარჯი	(103,217)	-
სხვა ფინანსური ხარჯი	(83,698)	(92,309)
სულ ფინანსური ხარჯი:	(278,994)	(1,024,906)
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი	1,442,767	685,502
კრედიტორული დავალიანების ჩამოწერით მიღებული შემოსავალი	180,512	106,115
სხვა ფინანსური შემოსავალი	13,583	150,896
სულ ფინანსური შემოსავალი:	1,636,861	942,513

8. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას. 2023 წელს აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი წარმოქმნილია ზემოაღნიშნული მოდელის საფუძველზე გაცემული დივიდენდის დაბეგვრით. საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

შპს „კაპიტალ ჰოლ“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

თვითღირებულება	მიწა	შენობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	აღჭურვილობა და ინვენტარი	სამედიცინო დანადგარები და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ:
ბალანსი 2023 წლის 21 თებერვალი	23,556,520	45,572,552	10,294,605	5,003,381	17,052,676	1,578,558	22,528	103,080,820
შემოსვლა	-	1,744,588	59,972	588,286	198,986	1,114,051	1,625	3,707,508
გასვლა	-	-	-	(160)	(41,852)	-	-	(42,012)
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	23,556,520	47,317,140	10,354,577	5,591,507	17,209,810	2,692,609	24,153	106,746,316
შემოსვლა	-	286,177	331,975	229,665	72,608	495,503	-	1,415,928
გასვლა	-	-	(229,718)	-	-	(129,165)	-	(358,884)
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	23,556,520	47,603,317	10,456,834	5,821,172	17,282,418	3,058,947	24,153	107,803,361
დაგროვილი ცვეთა								
ბალანსი 2023 წლის 21 თებერვალი	-	(4,934,994)	-	(3,108,674)	(8,884,025)	(444,334)	(4,236)	(17,376,263)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(995,632)	-	(374,759)	(1,464,146)	(230,371)	(2,239)	(3,067,147)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	21,638	-	-	21,638
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	(5,930,626)	-	(3,483,433)	(10,326,533)	(674,705)	(6,475)	(20,421,772)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(971,145)	-	(376,027)	(1,465,755)	(320,635)	(1,612)	(3,135,175)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-	69,123	-	69,123
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	(6,901,771)	-	(3,859,460)	(11,792,288)	(926,217)	(8,087)	(23,487,824)
საბალანსო ღირებულება								
ბალანსი 2023 წლის 21 თებერვალი	23,556,520	40,637,558	10,294,605	1,894,707	8,168,651	1,134,224	18,292	85,704,557
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	23,556,520	41,386,514	10,354,577	2,108,074	6,883,277	2,017,904	17,678	86,324,544
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	23,556,520	40,701,546	10,456,834	1,961,711	5,490,130	2,132,730	16,066	84,315,537

ძირითადი საშუალების განმარტებით შენიშვნაში დაუმთავრებელი მშენებლობის მუხლში ასახულია ჯგუფის საკუთარი ძალებით მიმდინარე მშენებლობების ღირებულება, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 10,456,834 ლარს, საიდანაც 2,085,651 ლარი არის ღუდუშაურის კლინიკის სასაწყობე მეურნეობის ღირებულება, ხოლო 8,371,183 ლარი შვილობილი კომპანიის შპს „ნიუ ჰისტორის“ დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება შეადგენს 10,354,577. საიდანაც 2,063,327 ლარი არის ღუდუშაურის კლინიკის სასაწყობე მეურნეობის ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო 8,291,249 ლარი შვილობილი კომპანიის შპს „ნიუ ჰისტორის“ დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება.

10. გუდვილი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი გუდვილი 2,108,806 ლარი უკავშირდება ჯგუფში შპს „ვივა თაურის“ შემოსვლას. შეძენა განხორციელდა მხოლოდ შპს „ვივა თაურის“ 100%-იანი წილის მფლობელის ცვლილების გზით საკონპენსაციო თანხის გადახდის გარეშე, ჯგუფმა გუდვილის თანხა განსაზღვრა შეძენის თარიღისათვის შეფასებული შეძენილი საწარმოს წილის სამართლიანი ღირებულების მიხედვით.

გუდვილის ტესტირება და მონიტორინგი ხელმძღვანელობის მიერ ხდება მთლიანი ჯგუფის დონეზე საოპერაციო სეგმენტების მიხედვით. ჯგუფი ყოველწლიურად ატარებს გუდვილის გაუფასურების ტესტირებას. გაუფასურების ბოლო ტესტირება ჯგუფმა ჩაატარა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფს არ გამოუვლენია გუდვილის რამენაირი გაუფასურება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „კაპიტალ ჰოლ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

11. საინვესტიციო ქონება

ჯგუფი ფლობს საინვესტიციო ქონებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ჯგუფი საინვესტიციო ქონებას აფასებს თვითღირებულებით. მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია საინვესტიციო ქონების შესახებ. შენობა-ნაგებობებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 50 წელს. მენეჯმენტის შეფასებით, საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მის სამართლიან ღირებულებას.

თვითღირებულება	მიწა და შენობა- ნაგებობა - ქ.თბილისი, ჭავჭავაძის N60	მიწა და შენობა- ნაგებობა - ქ.თბილისი, ჭავჭავაძის N60 ა/გ	მიწა - ქ.ყვარელი (თურგაანი)	მიწა - ქ.თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქ.N56	შენობა - ქ.თბილისი, იორის ქ.N1/3	შენობა - ქ.თბილისი, იორის შესახვევი N2/3	სულ:
ბალანსი 2023 წლის 21 თებერვალი	8,415,906	-	2,894,250	-	234,840	1,273,096	12,818,092
შემოსვლა	-	-					-
გასვლა	-	-					-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	8,415,906	-	2,894,250	-	234,840	1,273,096	12,818,092
შემოსვლა	1,038	36,870,000		1,526,000			38,397,038
გასვლა		-	(123,069)	(1,526,000)			(1,649,069)
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	8,416,944	36,870,000	2,771,181	-	234,840	1,273,096	49,566,061
დაგროვილი ცვეთა							-
ბალანსი 2023 წლის 21 თებერვალი	(880,277)	-	-	-	(3,914)	(10,109)	(894,300)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(168,822)		-	-	(7,828)	(42,437)	(219,086)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა			-	-			-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	(1,049,099)	-	-	-	(11,742)	(52,545)	(1,113,386)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(168,822)	(409,708)	-	-	(7,828)	(42,437)	(628,795)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა							-
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	(1,217,920)	(409,708)	-	-	(19,570)	(94,982)	(1,742,180)
საბალანსო ღირებულება		-					
ბალანსი 2023 წლის 21 თებერვალი	7,535,629	-	2,894,250	-	230,926	1,262,987	11,923,792
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	7,366,807	-	2,894,250	-	223,098	1,220,551	11,704,706
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	7,199,024	36,460,292	2,771,181	-	215,270	1,178,114	47,823,881

12. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
მედიკამენტები	1,002,746	956,852
სამედიცინო სახარჯი მასალები	1,339,129	1,232,751
სარემონტო მასალები	3,456	5,682
სამეურნეო მარაგები	800,958	690,858
საწვავი	11,679	9,833
სულ:	3,157,967	2,895,975

13. საგადასახადო აქტივი, საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე, როგორც 178,854 ლარის საგადასახადო ვალდებულება და 148,672 ლარის საგადასახადო აქტივი შესაბამისად.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	7,864,783	11,100,308
სხვა მოთხოვნები	129,678	83,506
საექვო ვალების რეზერვი	(1,167,043)	(1,167,043)
სულ ფინანსური მოთხოვნები	6,827,418	10,016,771

არაფინანსური მოთხოვნები

გაცემული ავანსები	2,730	2,730
სულ არაფინანსური მოთხოვნები	2,730	2,730
სულ მოთხოვნები	6,830,148	10,019,501

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ იხილეთ მე-17 შენიშვნაში.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	4,996,428	12,944,788
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	5,398,761	6,099,214
ნაღდი ფული	32,257	23,147
სულ:	10,427,446	19,067,149

ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია ფული და ფულის ეკვივალენტების შესახებ იხილეთ მე-17 შენიშვნაში.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	(3,325,106)	(1,989,202)
გადასახდელი ხელფასები	(1,268,796)	(1,418,387)
სხვა ვალდებულებები	(83,151)	(90,521)
სულ ვალდებულებები	(4,677,054)	(3,498,109)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ იხილეთ მე-17 შენიშვნაში.

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტი რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფი საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ექვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,830,148	10,019,501
ფული და ფულის ექვივალენტები	10,427,446	19,067,149
სულ ფინანსური აქტივები:	17,257,594	29,086,650
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,677,054	3,498,109
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,677,054	3,498,109

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი

მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ჯგუფი ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინო როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის. რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - გაცემული და მიღებული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია კომპანიის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ჯგუფის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

შპს „კაპიტალ ჰოლ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2024

ფინანსური აქტივები	ლარი	ევრო	დოლარი	
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,431,481	353,319	4,642,645	10,427,446
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,830,148	-	-	6,830,148
სულ ფინანსური აქტივები	12,261,629	353,319	4,642,645	17,257,594
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,677,054	-	-	4,677,054
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,677,054	-	-	4,677,054
საბალანსო პოზიცია	7,584,575	353,319	4,642,645	12,580,540

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2023

ფინანსური აქტივები	ლარი	ევრო	დოლარი	
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,122,377	263,025	12,681,745	19,067,149
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,019,501	-	-	10,019,501
სულ ფინანსური აქტივები	16,141,878	263,025	12,681,745	29,086,650
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,498,109	-	-	3,498,109
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,498,109	-	-	3,498,109
საბალანსო პოზიცია	12,643,769	263,025	12,681,745	25,588,541

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 25%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 25% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის მენეჯმენტის მიერ.

მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

შპს „კაპიტალ ჰოლ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

31.12.2024	ლარი/დოლარი 25%	ლარი/დოლარი -25%	ლარი/ევრო 25%	ლარი/ევრო -2%
მოგება/ზარალი	1,160,661	(1,160,661)	88,330	(88,330)

2023 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

31.12.2023	ლარი/დოლარი 25%	ლარი/დოლარი -25%	ლარი/ევრო 25%	ლარი/ევრო -2%
მოგება/ზარალი	3,170,436	(3,170,436)	65,756	(65,756)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან ჯგუფს არ გააჩნია მიღებული ან გაცემული სესხები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებლის დაფინანსების წყაროს და წარსულში ფინანსური სიმწიფეების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურებით. ასევე, საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემის სტატუსის მიხედვით და ლიმიტების დაწესების გზით რისკის იმ მოცულობაზე, რომელიც მზადაა მიიღოს კონტრაქტებზე ან კონტრაქტების ჯგუფზე ან ცალკეულ გეოგრაფიულ არეალზე თუ დარგობრივ სეგმენტზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

შპს „კაპიტალ ჰოლ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,830,148	10,019,501
ფული და ფულის ექვივალენტები	10,427,446	19,067,149
სულ:	17,257,594	29,086,650

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ერთ წლამდე	1-5 წლამდე	სულ:
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,677,054	-	4,677,054
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,677,054	-	4,677,054

ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ერთ წლამდე	1-5 წლამდე	სულ:
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,498,109	-	3,498,109
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,498,109	-	3,498,109

შპს „კაპიტალ ჰოლ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ჯგუფის და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,267,867	3,814,625
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	59,561	4,818,577

კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	613,250	2,948,556
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,736	8,322,865

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მომენტისთვის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ აწარმოებს სასამართლო დავებს სხვადასხვა ინსტანციებში. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

შპს „კაპიტალ ჰოლ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

დივიდენდის განაწილება - იმ შემთხვევაში თუ კომპანია დამფუძნებელზე გაანაწილებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ გაუნაწილებელ მოგებას, გადასახდელი მოგების გადასახადი შეადგენს 22,472,003 ლარს შესაბამისად. ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ჯგუფის შვილობილი კომპანიების ფას-ებზე გადასვლის საწყისი თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს 2017 წლის 1 იანვარს, ფას-ებზე გადასვლის მიზნით კომპანიამ განახორციელა ძირითადი საშუალებების ნაწილის - მიწისა და შენობების ჯგუფის შეფასება რეალური ღირებულებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. რეალური ღირებულება კომპანიამ გამოიყენა როგორც დასაშვები ღირებულება და ფას-ებზე გადასვლის თარიღისათვის წარადგინა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დასაშვები ღირებულებით. რეალური ღირებულებით წარდგენისათვის ძირითადი საშუალებების ნაწილის - მიწისა და შენობების კორექტირების თანხა შეადგენს 31,050,104 ლარს, რომლითაც გაზრდილია გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის შვილობილ კომპანიებში. მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ აქვს უნარი აქტივების რეალური ღირებულებით ასახვის შედეგად წარმოქმნილი გაუნაწილებელი მოგების განაწილების.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც დამატებით განმარტებებს საჭიროებს.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 1 ოქტომბერს.

შპს „კაპიტალ ჰოლ“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 1 იანვარი - 2024 წლის 31 დეკემბერი

თბილისი, 2025

შინაარსი

ინფორმაცია ჯგუფის და მისი საქმიანობის შესახებ.....	38
საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.....	39
ჯგუფის მოკლე ისტორია.....	39

შვილობილი კომპანიები:

1. შპს „ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“	39
2. შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“	47
3. შპს „დელუქს ფროფერტი“	56
4. შპს „დიფ ფორესტ“,	56
5. შპს „ნიუ ჰისტორი“,	56
6. შპს „პალეო საიდ“	56
7. შპს „ვივა თაუერი“	56

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ

საწარმოს სრული დასახელება	შპს კაპიტალ ჰოლ
საგადასახადო	402267159
საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქ. N12/ლუბლიანას ქ. N66
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი	21/02/2023
საკონტაქტო ტელეფონები	+995 577613311
ელ.ფოსტა	g.amisulashvili@pediatric.ge
ვებ-გვერდი	-----
გენერალური დირექტორი მოვალეობის შემსრულებელი	გიორგი ამისულაშვილი
საქმიანობის სფერო ("ეკონომიკური საქმიანობის სახეების" - სეკ-ის მიხედვით)	- ინვესტირება, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა (ძირითადი); - აქტივების მართვა (ძირითადი); - უძრავი ქონების სექტორი (ძირითადი).

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

ანგარიშის წარმდგენი პირი

შპს „კაპიტალ ჰოლ“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს კერძო სამართლის სუბიექტს. კომპანია შეიქმნა 2023 წლის 21 თებერვალს. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23022967, საიდენტიფიკაციო ნომერი 402267159.

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელსაც ხელმძღვანელობს და უშუალოდ მართავს დირექტორი. კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად.

კომპანიის მოკლე ისტორია

კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, მისამართზე: დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქუჩა N12 / ლუბლიანას ქ. N66.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სახეა საინვესტიციო საქმიანობა, აქტივების მართვა, უძრავი ქონების სექტორი. საქმიანობა ძირითადად ხორციელდება შვილობილი კომპანიების მეშვეობით.

შვილობილი კომპანიები:

1. შპს „ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“, ს/ნ 202193554;
2. შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“, ს/ნ 200010022;
3. შპს „დელუქს ფროფერტი“, ს/ნ 402066875;
4. შპს „დიფ ფორესტ“, ს/ნ 402182749;
5. შპს „ნიუ ჰისტორი“, ს/ნ 406313813;
6. შპს „პალეო საიდ“, ს/ნ 402224534;
7. შპს „ვივა თაუერი“, ს/ნ 405239610.

1. შვილობილი კომპანია - შპს „ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს აკად. ო.ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის ძირითადი საქმიანობა სამედიცინო მომსახურებაა.

ეროვნული სამედიცინო ცენტრი წარმოადგენს მრავალპროფილურ საავადმყოფოს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას აწვდის როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ სამედიცინო სერვისებს.

სამედიცინო საქმიანობის იურიდიული საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ 2015 წლის 10 აგვისტოს გამოცემული ბრძანების N 02-1100/m საფუძველზე კლინიკას მიღებული აქვს სტაციონარული საქმიანობის წარმართვის სანებართვო მოწმობა N000765, რომლის საფუძველზეც ახორციელებს სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო საქმიანობას 4 ლიცენზიის და ქვემოთ მოცემული სანებართვო მოწმობების დანართის ფარგლებში.

სამედიცინო საქმიანობის სახე :

ლიცენზიები:

1. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ლიცენზია - N002196
2. სასწრაფო- სამედიცინო დახმარების ლიცენზია - N 000060
3. სპეციალიზებული დახმარება, დანართი N 000037
4. პათოლოგ ანატომიური საქმიანობის ლიცენზია - N 000007
5. ჰისტოპათოლოგიური დიაგნოსტიკა, სალიცენზიო დანართი - N 000016
6. აუტოფსიური საქმიანობა , სალიცენზიო დანართი - N 000014
7. ციტოპათოლოგიური დიაგნოსტიკა, დანართი N 0000016
8. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია - N 000338

ნებართვები

1. სტაციონარული სანებართვო მოწმობა - N 000765
2. რადიოლოგიური საქმიანობა - კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევა - N 003578
3. რადიოლოგიური საქმიანობა - რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა - N 003577
4. რეანიმაციული მომსახურება, ინტენსიური მკურნალობა/ მოვლა - I, II, III დონე N 001313
5. ოფთალმოლოგია - N 003571
6. ინტერვენციული კარდიოლოგია N 005351
7. პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზია N 000007
8. ონკოლოგია - N 003570
9. ქირურგიული მომსახურება II-III დონე N 001314
10. ნეიროქირურგია - N 003572
11. ოტოლარინგოლოგია - N 003569
12. სამეანო გინეკოლოგიური .პროფილის საქმიანობა-გინეკოლოგია - N 003573
13. სამეანო ნეონატალური საქმიანობა - N 005271
14. ახალშობილთა ინტენსიური მოვლა - N 00572
15. ფსქიატრია -N003576
16. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება - EMERGENCY -III დონე N 000362
17. დიალიზი N003567
18. გარემოზე ზემოქმედების ნებართვა -N 000042
19. ლაბორატორიული საქმიანობა - კლინიკური დიაგნოსტიკა - N 004060
20. ლაბორატორიული საქმიანობა - ბიოქიმიური დიაგნოსტიკა - N 004061
21. ლაბორატორიული საქმიანობა - იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა - N 004062
22. ლაბორატორიული საქმიანობა - მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკა - N 004063
23. დიაგნოსტიკა - N005351.

კლინიკა თავის საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, ლუბლიანას 66/ზოხუას 12-ში ფილიალების გარეშე.

კლინიკის მოკლე ისტორია

საქართველოს და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის საკრედიტო ხელშეკრულებით (სტრუქტურული რეფორმების ხელშეწყობის პროექტი) ნაკისრი ვალდებულებებისა და ჯანდაცვის სისტემის რეფორმის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 1 თებერვლის ბრძანების (ბრძანება N27/m) თანახმად განხორციელდა ს/ს ო. ლუდუშაურის სახელობის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისა და შპს „ კატასტროფის და გადაუდებელი მედიცინის ცენტრის შერწყმა.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანების საფუძველზე (N1-3/217) დამტკიცდა ამ ცენტრების შერწყმა და შეიქმნა ს/ს აკად. ო. ლუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი. ამჟამად შპს აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი არის მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მოსახლეობას სთავაზობს ამბულატორიულ, კლინიკურ და დიაგნოსტიკურ მომსახურებებს.

კლინიკა ატარებს ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო დაწესებულების სახელს. გარდა ამისა კლინიკას აქვს რესურსი სტიქიური და საომარი კატაკლიზმების დროს რამდენიმე საათში გადაკეთდეს სამხედრო რეჟიმის ჰოსპიტლად (ამის დასტურია 2008 წლის საომარი მოქმედების დროს კლინიკის წვლილი დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამხედრო მოსამსახურეების სამედიცინო მომსახურებაში).

კლინიკას შენარჩუნებული აქვს თავისი პირვანდელი არქიტექტურული იერსახე. შენობას აქვს ვენტილაციის, ცენტრალიზებული წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების, გათბობის და კონდენცირების ცენტრალიზებული სისტემა, აგრეთვე, ავტონომიური დენის წყარო. პაციენტთა სამედიცინო მომსახურების საქმეში უწყვეტობის შენარჩუნების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კლინიკას გააჩნია ელექტრო და წყალმომარაგების ალტერნატიული, სარეზერვო წყაროები. გარდა ამისა, კლინიკას გააჩნია საპაერო ტრანსპორტის დასაფრენი ბილიკი.

კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

კლინიკა მოსახლეობას 100-ზე მეტი დასახელების სამედიცინო მომსახურებას აწვდის. კლინიკის მიერ უზრუნველყოფილი სერვისების არასრული ჩამონათვალი: სასწრაფო გადაუდებელი დახმარება, სამეანო- გინეკოლოგია, ქირურგიული ჩარევები, თერაპიული სამსახური, ნევროლოგია- ნეიროქირურგია, ტრავმატოლოგია-ორთოპედია, ოტორინოლარინგოლოგია, ახალშობილთა ინტენსიური მოვლა, დიალიზი, რადიოლოგიური კვლევები, ლაბორატორიული საქმიანობა, კლინიკური, ბიოქიმიური, იმუნოლოგიური, სეროლოგიური დიაგნოსტიკა, საწარმოო და კლინიკური ტრანსფუზიოლოგიური მომსახურებები, პათოლოგ-ანატომიური საქმიანობა და სხვა.

კლინიკაში დასაქმებულები არიან ექიმები, ექთნები და სხვა დამხმარე პერსონალი. 2024 წელს კლინიკაში დასაქმებული იყო 737 თანამშრომელი, მათ შორის, მედიცინის დოქტორი - 20, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი - 2, პროფესორი - 9.

ცხრილი.1 თანამშრომელთა რაოდენობა

	2024	2023	2022	2021	2020
თანამშრომელთა რაოდენობა	737	1068	1026	939	1,144

კლინიკა სამედიცინო საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო გაიდლაინებითა და პროტოკოლებით. კლინიკის ექიმები სისტემატურად გადიან პროფესიულ მომზადებას, ექიმებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი ინფორმაციები, სხვადასხვა დაავადებების და მდგომარეობის მართვის შესახებ.

ცხრილში წარმოდგენილია 2020-2024 წწ კლინიკაში გატარებულ და სტაციონარში მოთავსებულ პაციენტთა რაოდენობა:

ცხრილი 2.

	2020 წ	2021 წ	2022 წ	2023 წ	2024 წ
კლინიკაში გატარებული პაციენტები	22,859	27,861	21,833	13,444	15,921
მ.შ. სტაციონარში გატარებული	9,214	9,558	7,851	8,106	9,243

ცხრილი 3. 2020-2024 წლებში კლინიკის სტაციონარში გატარებული პაციენტები დეპარტამენტების მიხედვით:

განყოფილება	2024 წ	2023 წ	2022 წ	2021 წ	2020 წ
ტრავმა/ორთოპედია	628	560	654	712	300
ზ/ქირ, ჩირქ ქირურგია	788	708	664	803	1, 198
ნეირო/ნევროლოგია	190	714	754	1,241	1,101
თერაპია/თერაპ.ინტენსიური	845	1382	798	1,027	1,216
კოვიდი	-	-	257	510	-
კრიტიკული სექტორი	229	300	334	423	329
გინეკოლოგია	746	829	837	857	712
სამეანო	2035	1936	2184	2,546	2,659
ახალშობილთა რეანიმაცია	979	1036	987	1,015	1,106
კარდიოლოგია	826	641	244	424	593
სულ:	9243	8106	7,713	9,558	9,214

კარდიოლოგია	641	244	424	593	692
სულ:	8106	7,713	9,558	9,214	9,422

ცხრილი 4.

2020 -2024 წლებში კლინიკაში დაფიქსირებული ლეტალობის შემთხვევების რაოდენობა:

	2024 წ	2023 წ	2022 წ	2021 წ	2020 წ
მკვდრადშობადობა	78	78	93	127	135
მ.შ ანტენატალური	56	42	66	58	15
ახალშ.ნეონატ.სიკვდილობა	72	97	87	104	77
მოზრდილები	130	145	182	372	246

2020-2024 წწ კლინიკის სტატისტიკური მაჩვენებელი განყოფილებების მიხედვით საწოლზე დაყოვნების და საწოლის ბრუნვის შესახებ

ცხრილი 5.


	2020	2021	2022	2023	2024
ტრავმა/ორთოპედია	25	71	66	70	79
ქირურგია	52	57	37	44	49
ნეირო/ნევროლოგია	35	56	36	34	52
თერაპია	51	51	13	45	52
რეანიმაცია	26	36	30	43	47
ინტ.თერაპია	28	30	26	38	35
გინეკოლოგია	71	100	167	166	100
მეანობა	63	69	62	55	58
ნეონატოლოგია	11	11	11	16	15
კარდიოლოგია	40	35	12	20	52
კოვიდი	-	6	2	-	-

ცხრილი 6.

საწოლზე დაყოფნება

	2020	2021	2022	2023	2024
ტრავმა/ორთოპედია	4	4	4	4	3
ქირურგია	4	4	4	3	4
ნეირო/ნევროლოგია	6	8	5	4	4
თერაპია	7	9	4	6	5
რენიმაცია	15	13	12	8	7
ინტ.თერაპია	12	13	10	9	10
გინეკოლოგია	3	3	3	3	3
მეანობა	5	4	4	5	5
ნეონატოლოგია	30	29	35	30	24
კარდიოლოგია	5	4	4	4	5

2020-2024 წლებში კლინიკაში დაფიქსირებული მშობიარობების/საკეისრო კვეთების რაოდენობა:



კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2024 წლის განმავლობაში კლინიკამ ძირითადი საშუალებების შესაძენად და კლინიკის შენობის კაპიტალური რემონტისთვის ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. შესაბამისად, პაციენტებს შესაძლებლობა აქვთ კომფორტულ და პაციენტზე ორიენტირებულ გარემოში ისარგებლონ უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კლინიკის შემოსავლების ძირითადი წყარო დამფინანსებლების მიხედვით არის სახელმწიფო პროგრამებიდან მიღებული ფულადი რესურსები (კლინიკა მონაწილეობს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში), ასევე, კერძო სადაზღვევო კომპანიების დაზღვევულთათვის გაწეული სამედიცინო მომსახურებით მიღებული შემოსავალი, პაციენტთა მიერ გადახდილი თანხები და სხვა.

2024 წელს სამედიცინო საქმიანობით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 45,168,315 ლარი, ხოლო 2023 წელს 36,797,059 ლარი. კლინიკაში ფუნქციონირებს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სამრეცხაო, რომელიც ემსახურება როგორც კლინიკას, ასევე გათვლილია გარე მომხმარებლებზე, საიდანც მიღებულმა შემოსავალმა 2024 წელს შეადგინა 297,802 ლარი, ხოლო 2023 წელს 411 კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ლარში):

	31.12.2024	31.12.2023
მთლიანი აქტივები	83,476,684	120,074,207
საკუთარი კაპიტალი	79,597,294	117,125,651
მთლიანი ვალდებულებები	3,879,390	2,948,556

კომპანიის საქმიანობის შედეგების ამსახველი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ლარში):

	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	46,797,300	38,423,118
საოპერაციო ხარჯები	(36,978,999)	(32,042,592)
საოპერაციო მოგება	9,818,300	6,380,526
წმინდა მოგება	11,043,324	7,969,782

კომპანიის ძირითადი საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა შემდეგია (ლარში):

	2024	2023
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(17,226,400)	(15,575,812)
მარაგების ხარჯი	(11,796,549)	(9,150,991)
ცვეთა	(2,555,353)	(2,542,356)
სხვა ხარჯები	(5,400,697)	(4,773,433)

კომპანია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი ფინანსური

მაჩვენებლებით: საოპერაციო მოგების მარჟა - 2024 წელი -20.98%, 2023 წელი -16.61%

(საოპერაციო მოგება/საოპერაციო შემოსავალი)

წმინდა მოგების მარჟა - 2024 წელი -23.60%, 2023 წელი -20.74%

(წმინდა მოგება/საოპერაციო შემოსავალი)

EBITDA – 2024 წელი -29.1%%, 2023 წელი -27.5%

(წმინდა მოგება + საპროცენტო ხარჯი + მოგების გადასახადის ხარჯი + ცვეთა)/საოპერაციო შემოსავალი

უკუგება კაპიტალზე (ROE) – 2024 წელი -13.87%, 2023 წელი -6.8%

(წმინდა მოგება/ კაპიტალი)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლინიკას არ აქვს ვადაგასული კრედიტორული დავალიანებები. საფინანსო მაჩვენებლის მიხედვით კლინიკას მდგრადი ფინანსური მდგომარეობა გააჩნია.

კლინიკა ბაზრის წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობს: შპს „ავერსი ფარმა“, სს „გეფა“, შპს „სპ ფარმა“ და სხვ. რომლებიც კლინიკას ფარმაცევტულ პროდუქციასა და სამედიცინო დანიშნულების სახარჯ მასალებს აწვდიან. კლინიკა ასევე, თანამშრომლობს ისეთ ცნობილ სამედიცინო აპარატურის მწარმოებელ კომპანიებთან, როგორიცაა სიმენსი, ჯენერალ ელექტრიკი, ტომიბა, ჰიტაჩი-რომე, ჰუმანა დიაგნოსტიკ და სხვ. კლინიკის პარტნიორი ბანკებია: სს „თიბისი ბანკი“, სს „ტერა ბანკი“ და სს „პროკრედიტ ბანკი“.

განვითარების გეგმები

2024 წლის სამედიცინო და საფინანსო მონაცემები კლინიკას საშუალებას აძლევს მომდევნო წელს დაგეგმოს არსებული სამედიცინო სერვისების გაფართოების და გაუმჯობესების ღონისძიებები, ასევე, ახალი სერვისების დამატებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კლინიკის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კლინიკის მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითადი ნაწილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

დანართი 1

განმარტებები არაფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშებასთან დაკავშირებით:

განმარტება 1. გატარებული პაციენტების რაოდენობა (სტაციონარი)

საანგარიშო წლის განმავლობაში კლინიკის მიერ ჰოსპიტალიზებული პაციენტების რაოდენობა.

განმარტება 2. საწოლზე დაყოვნების საშუალო დაყოვნების მაჩვენებელი

(გატარებული საწოლ-დღეების საერთო რაოდენობა) / (ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა). აღნიშნული მაჩვენებელი ხარისხობრივი მაჩვენებლების კატეგორიას განეკუთვნება. როცა კლინიკაში სამედიცინო საქმიანობა კარგადაა ორგანიზებული, პაციენტის დიაგნოსტიკა და მკურნალობა სტანდარტების შესაბამისად, ოპერატიულად, დროითი დანაკარგის გარეშე მიმდინარეობს. პაციენტი კლინიკაში დიდხანს არ ყოვნდება, სასურველი შედეგის მიღწევა დროულად ხდება, პაციენტი ამოწურავს ჰოსპიტალიზაციის სტანდარტით გათვალისწინებულ ვადას (დაასრულებს სტაციონარული მკურნალობის ეტაპს) და ეწერება კლინიკიდან ამბულატორული მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის.

კლინიკის მოკლე ისტორია

თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა თავის საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, მისამართზე: ზღვისუბნის დასახლება, მე-11 მ/რ, პირველ კვარტალი, დისლოკაციის ერთ ადგილზე, ფილიალების გარეშე.

თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა 54 წელია არსებობს და ღირსეულად ატარებს წამყვანი პედიატრიული დაწესებულების სახელს. კლინიკის შენობა აშენებულია 1966 წელს.

შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკის ძირითადი საქმიანობის სახეა სამედიცინო საქმიანობა. შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა წარმოადგენს მრავალპროფილურ სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც მოსახლეობას აწვდის როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორულ სამედიცინო სერვისებს.

სამედიცინო საქმიანობის იურიდიული საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ 2024 წლის 11 დეკემბერს გამოცემული ბრძანების REG 0 25 00000838 საფუძველზე კლინიკას მიღებული აქვს სტაციონარული საქმიანობის წარმართვის სანებართვო მოწმობა N000184, რომლის საფუძველზე ახორციელებს სტაციონარულ და ამბულატორულ სამედიცინო საქმიანობას 12 სანებართვო მოწმობის დანართის/ლიცენზიის ფარგლებში:

1. ქირურგიული მომსახურება II-III დონე - სანებართვო მოწმობის დანართი #002494.
2. ოტორინოლარინგოლოგია - სანებართვო მოწმობის დანართი #002498
3. რენიმაციული მომსახურება, ინტენსიური მკურნალობა/მოვლა I-II-III დონე - სანებართვო მოწმობის დანართი #002495
4. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება - EMERGENCY III დონე N002496
5. რადიოლოგიური საქმიანობა - რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა - სანებართვო მოწმობის დანართი 0N02501
6. რადიოლოგიური საქმიანობა - კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა - სანებართვო მოწმობის დანართი N002502
7. ლაბორატორიული საქმიანობა - კლინიკური დიაგნოსტიკა - სანებართვო მოწმობის დანართი N002503
8. ლაბორატორიული საქმიანობა - ბიოქიმიური დიაგნოსტიკა - სანებართვო მოწმობის დანართი N002504
9. ნეიროქირურგია - სანებართვო მოწმობის დანართი N002497
10. გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა - სანებართვო მოწმობის დანართი N002500
11. ახალშობილთა ინტენსიური მოვლა - სანებართვო მოწმობის დანართი N002499
12. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია N38/2025.

კლინიკის შენობის ფასადი განახლებულია 2012 წელს. შენობა 4 სართულიანია, მე-4 სართულზე განთავსებულია ადმინისტრაცია. მე-3 სართულზე განთავსებულია ქირურგიული სექტორი საოპერაციო ბლოკით, მე-2 სართულზე რენიმაციის სექტორი, ახალშობილთა ინტენსიური მოვლის განყოფილება. პირველი სართულის ნაწილი უჭირავს თანამედროვე ამბულატორიულ დეპარტამენტს, ფუნქციონალურ და კლინიკო-დიაგნოსტიკურ კაბინეტებს, ნაწილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებას, ხოლო ორსართულიანი ფლიგელის მე-2 სართულზე განთავსებულია პედიატრის სექტორი. პირველ სართულზე ანტირაბიის კაბინეტი და არქივი.

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შენიშვნას აქვს ვენტილაციის, ცენტრალიზებული წყალმომარაგების, ელექტრო მომარაგების, გათბობის და კონდიციონერების ცენტრალიზებული სისტემა, აგრეთვე ავტონომიური დენის წყარო. პაციენტთა სამედიცინო მომსახურების საქმეში უწყვეტობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კლინიკას გააჩნია ელექტრო და წყალმომარაგების ალტერნატიული, სარეზერვო წყაროები.

სურათი 2. შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკის შენობა



საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

კლინიკა მოსახლეობას ოცდაათამდე დასახელების სამედიცინო სერვისს აწვდის. ქვემოთ მოყვანილია კლინიკის მიერ უზრუნველყოფილი სერვისების (როგორც სტაციონარული, ისე ამბულატორიული) სრული ჩამონათვალი:

პედიატრია, ნევროლოგია, ახალშობილთა ინტენსიური მოვლა, რეანიმაცია, ინტენსიური თერაპია, ქირურგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, გინეკოლოგია, ნეიროქირურგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, თორაკო-ქირურგია, ანტირაბია, უროლოგია, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, კარდიო-რევმატოლოგია, ნევროლოგია, გასტროენტეროლოგია, ოფთალმოლოგია, ენდოკრინოლოგია, ნეფროლოგია, იმუნოზაცია, რადიოლოგია (რენტგენი, კომპიუტერული ტომოგრაფია, ულტრასონოგრაფია, კარდიოექსკოპია, ნეიროსონოგრაფია), ლაბორატორიული საქმიანობა (კლინიკური, ბიოქიმიური, ბაქტერიოლოგიური), ფიზიოთერაპია, ახალშობილთა ინტენსიური მოვლა.

ბრონქოსკოპია, ლაბორატორიული საქმიანობა (კლინიკური, ბიოქიმიური, ბაქტერიოლოგიური).

სამედიცინო დახმარება ხორციელდება ისეთი უახლესი სამედიცინო აპარატურით, როგორიცაა:

- ხელოვნური სუნთქვის აპარატი ახალშობილთათვის Avea Carefusion (Neonatal+Adult) (დრეგერი, გერმანია)
- ხელოვნური სუნთქვის აპარატი Sipap, BABZLOG8000, EVITA 1, BPB 840 (პურიტან ბენეტი)
- ახალშობილთა ფოტოთერაპიის აპარატი
- ნეონატალური გამათბობელი Panda Warmer, Lullaby Warmer, AW-1
- ნეონატალური ინკუბატორი Drager Cuve, General Electrics, AL-2 LUX
- ფოტოთერაპიის სისტემა
- რენტგენოგრაფიის აპარატი Flexa Vision (Shimadzu Corpontion, იაპონია)
- რენტგენოგრაფიის აპარატი Ziehm 8000 (ზიემი, გერმანია)
- რენტგენოგრაფიის აპარატი Proslaidr 32-DR (პროტეკ, გერმანია)
- კომპიუტერულ-ტომოგრაფიული აპარატი Somation Sensation (სიმენსი, გერმანია)
- აპარატი EKG+Fonokardiograf 6 არხიანი (გერმანია)
- სისხლის საერთო ანალიზისთვის ანალიზატორი - სისხლში გაზების ანალიზატორი
- აპარატი ბიოქიმიური კვლევისათვის
- აპარატი შარდის განმსაზღვრელი
- ადენოტონზილექტომიის აპარატი Coblator II
- ექოსკოპიის/ულტრასონოგრაფიის აპარატი სექტორული გადამწოდით TOSHIBA POVERVISION 6000
- დეფიბრილატორი
- საანესთეზიო აპარატი
- სპირომეტრი BTL-08 Spiro Pro
- სტერილიზატორი CELETRON
- სტერილური ინსტრუმენტების შესაფუთი აპარატი
- ჟანგბადის ქარხანა
- ცენტრალიზებული სასტერილიზაციო სისტემა

და სხვ.

სურათი N3.

კლინიკის პალატები





კლინიკაში დასაქმებულები არიან ექიმები, ექთნები და სხვა დამხმარე პერსონალი. 2024 წელს კლინიკის თანამშრომელთა რაოდენობა არის - 153.

ცხრილი 1. თანამშრომელთა რაოდენობა

წელი	2024	2023
თანამშრომელთა რაოდენობა	153	197

2024 წელს კლინიკამ სამედიცინო მომსახურება გაუწია 15065 პაციენტს. მათ შორის სტაციონარში ჰოსპიტალიზებულ იქნა 2827 პაციენტი, კლინიკის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში გატარდა 12238 პაციენტი.

გარდა ამისა, კლინიკის საკონსულტაციო-დიაგნოსტიკურ ცენტრში გატარდა 5690 პაციენტი.

2023 წელს კლინიკამ სამედიცინო მომსახურება გაუწია 14868 პაციენტს. მათ შორის სტაციონარში ჰოსპიტალიზებულ იქნა 2495 პაციენტი, კლინიკის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში გატარდა 12373 პაციენტი, კლინიკის საკონსულტაციო-დიაგნოსტიკურ ცენტრში გატარდა 1870 პაციენტი.

ცხრილი 2. კლინიკაში ჰოსპიტალიზებული პაციენტების რაოდენობა 2024-2023

N	წელი/პროფილი	2024	2023
1	პედიატრიული სექტორი	1881	1745
2	რეანიმაციის სექტორი	501	409
3	ქირურგიული სექტორი	445	341
4	გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	12238	12373
	სულ	15065	14868

გაიდლაინებითა და პროტოკოლებით, კლინიკის ექიმები სისტემატიურად გადიან პროფესიულ მომზადებას, ექიმებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი ინფორმაციები სხვადასხვა დაავადებებისა და მდგომარეობების მართვის შესახებ. კლინიკის მენეჯმენტი და ექიმების გუნდი სისტემატიურად მუშაობს რესურსტევადი და ხარჯტევადი მაღალ რისკთან დაკავშირებული სამედიცინო სერვისების შესამცირებლად.

- 2024 წელს საწოლთა ფონდი შეადგენდა 100 საწოლს, აქედან ემერჯენსი 6; 2023 წელს 100, აქედან ემერჯენსი 6;
- 2024 წელს ლეტალობის 11 ეპიზოდი. 2023 წელს დაფიქსირდა ლეტალობის 6 ეპიზოდი;
- 2024 წელს ჩატარდა 445 ოპერაცია, მათ შორის 244 გეგმიური, ხოლო 201 გადაუდებელი ოპერაცია; 2023 წელს ჩატარდა 341 ოპერაცია, მათ შორის 97 გეგმიური, ხოლო 244 გადაუდებელი ოპერაცია.
- 2024 წელს ჩატარდა 7876 რენტგენოლოგიური კვლევა, 98 კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა, 63388 ლაბორატორიული კვლევა, 1127 ანტირაბიული აცრა. 2023 წელს ჩატარდა 7980 რენტგენოლოგიური კვლევა, 154 კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა, 59372 ლაბორატორიული კვლევა, 3342 ანტირაბიული აცრა.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს არსებული სამედიცინო პროდუქტების განვითარებაზე მუშაობა. შესაბამისად, 2024 წლის განმავლობაში კლინიკაში მიმდინარეობდა ინოვაციური ღონისძიებების დანერგვა ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კლინიკის შემოსავლების ძირითადი წყარო დამფინანსებლების მიხედვით არის სახელმწიფო პროგრამებიდან მიღებული ფულადი რესურსები (კლინიკა მონაწილეობს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში), ასევე, კერძო სადაზღვევო კომპანიების დაზღვევულთათვის გაწეული სამედიცინო მომსახურებით მიღებული შემოსავალი, პაციენტთა მიერ გადახდილი თანხები და სხვა.

კლინიკის 2024 წლის ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით შემოსავლები გაზრდილია 2023 წელთან შედარებით. 2024 წელს სამედიცინო საქმიანობით მიღებულმა შემოსავალმა 6,004,184 ლარი, ხოლო 2023 წელს 5,446,161 ლარი შეადგინა.

კომპანიის საქმიანობის შედეგების ამსახველი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ლარში):

	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	6,146,026	5,635,896
საოპერაციო ხარჯები	(4,395,820)	(4,317,869)
საოპერაციო მოგება	1,750,205	1,318,027
წმინდა მოგება	1,869,339	1,474,341

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ლარში):

	31.12.2024	31.12.2023
მთლიანი აქტივები	8,707,055	10,153,673
საკუთარი კაპიტალი	8,093,875	9,623,483
მთლიანი ვალდებულებები	613,180	530,190

კომპანია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებით:

საოპერაციო მოგების მარჟა - 2024 წელი 28.48%, 2023 წელი - 23.66%

(საოპერაციო მოგება/საოპერაციო შემოსავალი)

წმინდა მოგების მარჟა - 2024 წელი - 30.42%, 2023 წელი - 26.07%

(წმინდა მოგება/საოპერაციო შემოსავალი)

EBITDA – 2024 წელი - 36.9%, 2023 წელი - 33.1%

(წმინდა მოგება + საპროცენტო ხარჯი + მოგების გადასახადის ხარჯი + ცვეთა)/საოპერაციო შემოსავალი

უკუგება კაპიტალზე (ROE) – 2024 წელი 23.1%, 2023 წელი - 15.3%,

(წმინდა მოგება/ კაპიტალი)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლინიკას არ აქვს ბიუჯეტის მიმართ დავალიანება, არ აქვს ვადაგასული კრედიტორული დავალიანებები. საფინანსო მაჩვენებლის მიხედვით კლინიკას მდგრადი ფინანსური მდგომარეობა გააჩნია.

კლინიკა ბაზრის წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობს: შპს „ავერსი ფარმა“, სს „გეფა“, შპს „პსკ ფარმა“ და სხვ. რომლებიც კლინიკას ფარმაცევტულ პროდუქციასა და სამედიცინო დანიშნულების სახარჯ მასალებს აწვდიან. კლინიკა ასევე, თანამშრომლობს ისეთ ცნობილ სამედიცინო აპარატურის მწარმოებელ კომპანიებთან, როგორიცაა სიმენსი, ჯენერალ ელექტრიკი, ტომიზა, ჰიტაჩი-როშე, ჰუმანა დიაგნოსტიკ და სხვ.

კლინიკის პარტნიორი ბანკებია: სს „თიბისი ბანკი“ და სს „ტერა ბანკი“.

განვითარების გეგმები

2024 წლის სამედიცინო და საფინანსო მონაცემები კლინიკას საშუალებას აძლევს მომდევნო წელს დაგეგმოს არსებული სამედიცინო სერვისების გაფართოების და გაუმჯობესების ღონისძიებები, ასევე, ახალი სერვისების დამატებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კლინიკის მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითადი ნაწილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ

იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

დანართი 1

განმარტებები არაფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშებასთან დაკავშირებით: განმარტება 1. გატარებული პაციენტების რაოდენობა

(სტაციონარი)

საანგარიშო წლის განმავლობაში კლინიკის მიერ ჰოსპიტალიზებული პაციენტების რაოდენობა.

განმარტება 2. საწოლზე დაყოვნების საშუალო დაყოვნების მაჩვენებელი

(გატარებული საწოლ-დღეების საერთო რაოდენობა)/(ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა). აღნიშნული მაჩვენებელი ხარისხობრივი მაჩვენებლების კატეგორიას განეკუთვნება. როცა კლინიკაში სამედიცინო საქმიანობა კარგადაა ორგანიზებული, პაციენტის დიაგნოსტიკა და მკურნალობა სტანდარტების შესაბამისად, ოპერატიულად, დროითი დანაკარგის გარეშე მიმდინარეობს. პაციენტი კლინიკაში დიდხანს არ ყოვნდება, სასურველი შედეგის მიღწევა დროულად ხდება, პაციენტი ამოწურავს ჰოსპიტალიზაციის სტანდარტით გათვალისწინებულ ვადას (დაასრულებს სტაციონარული მკურნალობის ეტაპს) და ეწერება კლინიკიდან ამბულატორული მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის.

დანარჩენი შვილობილი კომპანიები:

3. შპს „დელუქს ფროფერტი“, ს/ნ 402066875, რეგისტრაციის თარიღი - 30/10/2017წ. იურიდიული მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქ., №12/ლუბლიანას ქ. №66. კომპანიას ხელმძღვანელობს და მართავს დირექტორი.
4. შპს „დიფ ფორესტ“, ს/ნ 402182749, რეგისტრაციის თარიღი - 07/04/2021წ. იურიდიული მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქ., №12/ლუბლიანას ქ. №66. კომპანიას ხელმძღვანელობს და მართავს დირექტორი.
5. შპს „ნიუ ჰისტორი“, ს/ნ 406313813, რეგისტრაციის თარიღი - 28/09/2020წ. იურიდიული მისამართი: ისნის რაიონი, იორის ქუჩა, N 9/2. კომპანიას ხელმძღვანელობს და მართავს დირექტორი.
6. შპს „პალეო საიდ“, ს/ნ 402224534, რეგისტრაციის თარიღი - 21/06/2022წ. იურიდიული მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქ., №12/ლუბლიანას ქ. №66. კომპანიას ხელმძღვანელობს და მართავს დირექტორი.
7. შპს „ვივა თაუერი“, ს/ნ 405239610, რეგისტრაციის თარიღი - 17/11/2017წ. იურიდიული მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიხეილ ასათიანის ქ., №10-ა, ბინა 40. კომპანიას ხელმძღვანელობს და მართავს დირექტორი.

ჩამოთვლილი კომპანიების ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია უძრავი ქონების სექტორთან, სამომავლო სასტუმრო და სასტუმროსთან დაკავშირებულ სამომსახურეო საქმიანობასთან. მითითებულ კომპანიებში შპს „კაპიტალ ჰოლი“ განახორციელებს ინვესტიციებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამომავლო სასტუმრო და სასტუმროსთან დაკავშირებული მომსახურების მომხმარებლისათვის მიწოდება.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

_____ გ.ამისულაშვილი

შპს „კაპიტალ ჰოლ“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

დანარჩენი შვილობილი კომპანიები:

3. შპს „დელუქს ფროფერტი“, ს/ნ 402066875, რეგისტრაციის თარიღი - 30/10/2017წ. იურიდიული მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქ., №12/ლუბლიანას ქ. №66. კომპანიას ხელმძღვანელობს და მართავს დირექტორი.
4. შპს „დიფ ფორესტ“, ს/ნ 402182749, რეგისტრაციის თარიღი - 07/04/2021წ. იურიდიული მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქ., №12/ლუბლიანას ქ. №66. კომპანიას ხელმძღვანელობს და მართავს დირექტორი.
5. შპს „ნიუ ჰისტორი“, ს/ნ 406313813, რეგისტრაციის თარიღი - 28/09/2020წ. იურიდიული მისამართი: ისნის რაიონი, იორის ქუჩა, N 9/2. კომპანიას ხელმძღვანელობს და მართავს დირექტორი.
6. შპს „პალეო საიდ“, ს/ნ 402224534, რეგისტრაციის თარიღი - 21/06/2022წ. იურიდიული მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქ., №12/ლუბლიანას ქ. №66. კომპანიას ხელმძღვანელობს და მართავს დირექტორი.
7. შპს „ვივა თაუერი“, ს/ნ 405239610, რეგისტრაციის თარიღი - 17/11/2017წ. იურიდიული მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიხეილ ასათიანის ქ., №10-ა, ბინა 40. კომპანიას ხელმძღვანელობს და მართავს დირექტორი.

ჩამოთვლილი კომპანიების ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია უძრავი ქონების სექტორთან, სამომავლო სასტუმრო და სასტუმროსთან დაკავშირებულ სამომსახურეო საქმიანობასთან. მითითებულ კომპანიებში შპს „კაპიტალ ჰოლი“ განახორციელებს ინვესტიციებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამომავლო სასტუმრო და სასტუმროსთან დაკავშირებული მომსახურების მომხმარებლისათვის მიწოდება.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გ.ამისულაშვილი

